საქართველოს მთავრობის

დადგენილება №381

2021 წლის 27 ივლისი

ქ. თბილისი

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 მარტის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 მარტის №54 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წელი, №39, მუხლი 431) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესების“:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის/განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესები“.

2. პირველი – მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში I-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვა გაიცემა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობისას – „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების შესაბამისად, ამასთან, დაიშვება გარკვეული გამარტივებული პროცედურები.

2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისათვის I-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვას გასცემს ამ ზონის ადმინისტრატორი ორგანო (შემდგომში – ადმინისტრატორი), ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო).

3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისათვის ადმინისტრატორი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებს განაშენიანების დეტალურ გეგმას. ასეთ შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ უკვე შემუშავებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებისათვის განაცხადის წარდგენა აუცილებელი არ არის, გარდა „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

3. მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-5 – მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მშენებლობის ნებართვის/განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის მისაღებად დოკუმენტაციის წარდგენამდე ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს, გაიაროს კონსულტაციები ნებართვის გამცემსა და ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, აგრეთვე მიიღოს შეთანხმებები იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ შეთანხმებას ნებართვის მიღებამდე.

6. ნებართვის მისაღებად დოკუმენტები ადმინისტრატორს/ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარედგინება კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და შემადგენლობით.

7. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მშენებლობის ნებართვის/განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობას იღებენ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობას იღებს ასევე ადმინისტრატორიც.“.

5. მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. 8^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. ადმინისტრატორის მიერ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარება ხდება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების VIII თავის შესაბამისად, ხოლო ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება ხდება „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების XVIII თავის შესაბამისად.“.

7. მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც დაწყებულია ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება ამ დადგენილების ამოქმედებამდე, ასევე იმ ობიექტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ექსპლუატაციაში მიღებული. აღნიშნულ ობიექტებზე გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**